პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 4 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 199 (897) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ხელი შეუწყვე ახალ გაწვევას.

1902 წელში დაბადებული წითელარმიელი მიდის უვადო შვებულებაში. მისი ადგილი უნდა დაიკავოს 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდა მუშებმა და გლეხებმა. ამ რიგად როგორც კი დასრულდება ძველი წითელარმიელების უვადო შვებულებაში გაშვება, დაიწყება ახლების გამოწვევა. და აი აქ შვებულმა წითელ მოლაშქრემ სისრულეში უნდა მოიყვანოს წითელი არმიის პირველი დავალება.

ეს ვალდებულებაა—ყოველ მხრივ ხელის შეწყობა შემოდგომის გაწვევისათვის. შვებულმა ენერგიული კამპანია უნდა გასწიოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მასაში, რათა ისინი თავის დროზე, დაუკვიანებლად და ერთსულოვნად გამოცხადდენ გაწვევაზე.

თავის ახალგაზრდა მემკვიდრეებს შვებულებმა დაწვრილებით უნდა მოუყვენ წითელარმიის ყოფა-ცხოვრებაზე, მის მუშაობაზე და მის დიდ მიზნების შესახებ. უვადო შვებულებაში წასულ წითელარმიელმა უნდა მიაღწიოს მას, რომ ახალწვეულს საკმაო წარმოდგენა ქონდეს წითელ ყაზარმაზე ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის თვით იხილავს ამ უკანასკნელს.

ცხადია ეს დიდი მუშაობაა, საჭიროა ბევრი ენერგიის და ძალღონის დახარჯვა. მაგრამ შვებულმა ამ მხრივ არავითარი რამ არ უნდა დაიშუროს. ეს თავისი პირველი ვალდებულება წითელი ჯარის წინაშე სახლში დაბრუნების შემდეგ მან პირნათლად უნდა შეასრულოს. და არა მარტო გაწვევის კამპანიაში, არამედ საერთო ტერშეკრების ნაყოფიერად ჩატარების საქმეშიც შვებულმა უაღრესად მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს.

შვებულო! ერთ წუთს ნუ დაივიწყებ ამ დიდი მოვალეობის შესახებ! ყოველ მხრივ ხელი შეუწყვე მომავალ გაწვევას და საერთო ტერშეკრებას!

## ამხ. ტროცკი

### საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ხარკოვის ქარხანა „ელქტრო-ძალაში“ ამხ. ტროცკიმ მუშების კრებაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებით.

ამხ. ტროცკიმ ჩვენი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ზრდა ციფრებით დაახასიათა.

„ეს ზრდა, ამბობს ამხ. ტროცკი, არღვევს ჩვენ ურყევ მდგომარეობას საერთაშორისო არენაზე.

მხოლოთ ამ გარემოებით შეიძლება იმის ახსნა, თუ რატომ ჩაიშალა ჩემბერლენის განზრახვა მთლიან ფრონტის შექმნის ჩვენს წინააღმდეგ.

მეორე მიზეზი ჩემბერლენის განზრახვის ჩაშლის არის პროლეტარიატის განწყობილება, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ ჩემბერლენებმა.

როდესაც ჩვენ აქ აღნიშნულ მეორე მიზეზზე ვლაპარაკობთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ევროპის რევოლიუციის საკითხზე ბევრს ეჭვი ეპარება, იქნება თუ არა ოდესმე რევოლიუცია დასავლეთ ევროპაში.

რევოლიუცია ევროპაში მიდის ნელა, ვიდრე ჩვენ ეს გვსურდა. იქ პროლეტარიატს წინ უხვდება უფრო ძლიერი და ორგანიზაციულად კარგად გართული მტერი. ამიტომ მუშათა კლასს უძნელდა თავისი ბურჟუაზიის დაძლევა, ვიდრე ჩვენ.

ამით აიხსნება რევოლიუციის დაგვიანება ევროპაში.

ევროპის პროლეტარიატი დიდ ყურადღებას იჩენს თუ რა კეთდება საბჭოთა კავშირში. ჩვენ ამ მუშათა ბევრი დელეგაციები ვნახეთ, რომლებიც სწავლობდენ ჩვენს მეურნეობას და ქვეყნის მდგომარეობას. ეს მოგზაურები კოლოსალურ მნიშვნელობის მოვლენაა როდესაც ასეთი გზირი გადასცემს თავის ქარხნის მუშებს სრულ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ, ეს ქარხანა შეიქმნება ჩვენს საუკეთესო დასყრდნობ პუნქტად ჩემბერლენების წინააღმდეგ.

ჩვენ ახალ ხანის წინ ვდგევართ, როდესაც ჩვენს სასარგებლოთ თვით ევროპის პროლეტარიატი გასწევს მასიურ პროპაგანდას. ყოველივე ჩვენი ნაბიჯი წინ, ჩვენი მიღწევა აძლიერებს ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონურ აღტკინებას. ევროპის მუშათა კლასი თანდათანობით რწმუნდება საკუთარ და ჩვენს ძალაში“.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

### გომინდანის მემარცხენე ფრთის მანიფესტი.

პეკინში გომინდანის ეგრეწოდებული კლუბმა, რომელიც აერთიანებს მემარცხენე ფრთის წევრებს, გამოუშვა მანიფესტი, რომელშიც კანტონის მთავრობას და გომინდანის აღმასკომს ჩიოქს სცხებს. მანიფესტის აზრით გომინდანის აღმასკომი და კანტონის მთავრობა კომუნისტების გავლენის ქვეშ არიან მანიფესტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს გაერთიანებისკენ კომუნისტების წინააღმდეგ.

### იაპონიის საპროტესტო ნოტა.

იაპონიის საელჩომ პეკინის საგარეო საქმეთა მინისტრს და კანტონის ხელისუფლებას გაუგზავნა ნოტა ამას წინეთ კანტონში მომხდარ ინციდენტის შესახებ, სადაც ჩინეთის სამხედრო რაზმმა სროლა აუტეხა იაპონიის გემს და მოკლა სამი მეზღვაური. კანტონის მთავრობამ ბოდიში მოიხადა და ეს გარემოება ახსნა სიბნელით. საერთო აზრია, რომ იაპონია არ გაბერავს ამ ინცინდენტს.

## საუბარი ამხ. კარახანთან.



ამხ. კარახანი.

1 ენკენისთვეს მოსკოვში გაიარა ამხ. კარახანმა. ტასს-ის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. კარახანმა აღნიშნა, რომ საბაჟო კონფერენციაში საბჭოთა კავშირი მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან საბჭოთა კავშირის მონაწილება ამ კონფერენციაში გაამაგრებდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და ჩინეთს კი ზარალს მისცემდა. კარახანი ფიქრობს, რომ კონფერენცია არავითარ გაუმჯობესებას არ შეიტანს ჩინეთის გართულებულ მდგომარეობაში.

# მუშათა მოძრაობა.

## ჩეხო-სლოვაკიის სამთო-მადნო მუშების მოთხოვნილება.

ჩეხო-სლოვაკიის სამთო-მადნო მუშების ყრილობამ გადასწყვიტა მოთხოვნილება წაუყენოს მთავრობას და პარლამენტს ნახშირის ბაჟის გაუქმების, სატრანსპორტო ტარიფით დაკლების და სამუშაოს ხელფასის აწევის შესახებ.

სამუშაო ხელფასის აწევის მოთხოვნილებას ყრილობა ასაბუთებს მით, რომ ნახშირის მრეწველობაში ხელფასმა 22 პროც. დაიკლო, მაშინ, როდესაც ნახშირის წარმოებების მოგება ან ძველებურ დონეზეა ანდა კიდევ იწევს.

## ამერიკაში დაიწყო სამთო მადნო მუშების გაფიცვები.

1 ენკენისთვიდან გაფიცვები დაიწყო ამერიკის ანტრაციტის მაღაროებში.

## პოლონელ-კომუნისტ ლანცუცკის მეორედ გასამართლება.

რემედასის აღმასკომის მიერ მიღებულ ცნობათა თანახმად 10 ენკენისთვეს ქ. ლოდზის საოლქო სასამართლოში დაიწყება ამხ. ლანცუცკის მეორე პროცესი.

## ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის გამოძავება ბულგარეთიდან.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია რომელიც ჩავიდა ბულგარეთში იქაურ თეთრ ტერორის გამოსარკვევად, ბულგარეთის მთავრობის მიერ გამოძავებული იქნა ამ ქვეყნიდან.

## ბესარაბიის აჯანყებულთა პროცესი.

### პროკურორს მოსწონს ცანკოვის „მართლმსაჯულება“.

სამხრეთ-ბესარაბიის აჯანყებულ—გლეხთა პროცესზე დამცველებმა ერთსულოვანი პროტესტი განაცხადეს მათ კანონიერ უფლებების შეკვეცაზე. დამცველებმა აღნიშნეს შეუძლებლობა ყველა საჭირო მასალების წარმოდგენის შესახებ პროცესზე, რადგან სასამართლომ თავის დროზე არ მისცა საშუალება საქმის გაცნობისა. დამცველთა საყვედურების საპასუხოდ სამხედრო პროკურორმა განაცხადა, რომ მაგალითისათვის იმათმა ბულგარეთის მართლმსაჯულებას უნდა მიბაძონ, რომელმაც „დაასრულა“ კომუნისტური პროცესი 4 დღის განმავლობაში. გაზეთი „დიმანიტიადა“ იტყობინება, რომ პროცესი სულ ქაოტურ პირობებში დაიწყო. წინასწარ გამოძიება დასრულდა მხოლოდ 285 ბრალდებულის საქმის შესახებ, 127 მიმართ კი არ დასრულებულა ძიება, არამედ ოქმიც კი არაა წარმოდგენილი.

### დაჩაგრული ბესარაბია.

გაზეთები აქვეყნებს ყოფილ მინისტრის, ბესარაბიის საქმეთა შესახებ, ბაგოშის წერილს რუმინიის ეხლანდელ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე, რომელშიც ბაგოში სწერს, რომ ბესარაბიაში არსებულ ტერორმა გამოიწვია ემიგრაცია (გადასახლება) არა მარტო რუს და უკრაინელ გლეხების მხრივ, არამედ რუმინელ გლეხებშიაც.

ბესარაბიელ, დეპუტატი კაზაკლიუ აღწერს ბესარაბიის მდგომარეობას. სოროკის რაიონში ყოველ-დღიურად კვდება 20-30 გლეხი, რაც სიმშილობით და ხოლერითაა გამოწვეული. კაზაკლიუ აღნიშნავს მოსახლეობისათვის სურსათის სუსტ მიწოდებას, რაც ადგილობრივ ხელისუფლების აღვირახსნილობით და ბესარაბიის ანტი-სანიტარულ მდგომარეობით არის გამოწვეული.

# საკავშირო-ავტო-გადარბენა.

**ტფილისიდან გასვლა.**

გუშინ დილას, სწორედ 8 საათზე გადარბენაში მონაწილე ავტომობილები დაეწყვენ დასასვენებელ პარკში, მე-21 ქვეითთა სამხედრო სკოლის ეზოში და პლეხანოვის პროსპექტით, კარლ მარქსის მოედნით, თავისუფლების მოედნით და რუსთაველის პროსპექტის გავლით, გაემართნენ ფინიშისაკენ. ავტომობილებმა გაიარეს ლენინის ქუჩაც.

ფინიშზე თავი მოეყარა აუარებელ საზოგადოებას, მთავრობის წარმომადგენლებს და გადარბენის დამხმარე კომიტეტის წევრებს.

სწორედ დილის 8 საათზე და 37 წუთზე დაიწყო სტარტი (ავტო-მანქანების გასვლა). გადარბენაში მონაწილე მანქანები დაყოფილ იქნენ ოთხ ჯგუფად. თვითეული ჯგუფი გადიოდა, მეორე წინა ჯგუფის გასვლის 5 წუთის შემდეგ. ერთი ავტომობილი კი გადიოდა მეორე ავტომობილის გასვლის ნახევარი წუთის შემდეგ.

ხალხი ვაშათი და ტაშით აცილებდა გადარბენაში მონაწილეთ. მუსიკა კი უკრავდა „ინტერნაციონალს" და სხვადასხვა სახელმწიფოების მარშებს.

უკანასკნელი მანქანა გავიდა 9 საათსა და 37 წუთზე.

პირველათ გავიდა მანქანა „მერსედესი", რომელშიაც იჯდა ამხ. ლიტვინ-სედოი, გადარბენის ხელმძღვანელი კომიტეტის თავმჯდომარე. მეორედ გავიდა მანქანა აგრეთვე „მერსედესი" უკანასკნელში იჯდა გადარბენის კომანდირი პროფ. ბრილინგი.

„მერსედესი" გერმანული ფირმაა. მეორე მანქანა „ლინკოლნი" კი, რომელმაც დიდი მეტოქეობა გაუწია „მერსედესს" და რომელიც პირველათ შემოვიდა ტფილისში—ამერიკელებისაა.

ტფილისიდან უკანასკნელათ გავიდა „აგა"-ს ფირმის (გერმანია) მანქანა.

# საბჭოთა შეკვეთები ინგლისში.

ლონდონის ყველა გაზეთებმა დაბეჭდეს ცნობა იმ კონტრაქტების შესახებ, რომელიც დადებული იქმნა ლანკაშირის (ინგლისის სამრეწველო მხარე) ფირმებსა და საფეიქრო დელეგაციას შორის საბჭოთა კავშირის საფეიქრო ქარხნების მოწყობილობის შესყიდვის შესახებ.

# ინგლისის მრეწველები საბჭ. კავშ. სესხის მიცემის შესახებ.

გაზ. „ფინანშიელ ტაიმს"-მა გამოაქვეყნა იმ ანკეტების შედეგები, რომლებიც გატარებული იქნენ ინგლისის კომერსანტებში და მრეწველებში იმის გამოსარკვევად, თუ რა შეხედულების არიან ისინი ინგლისის ბანკების უარზე საბჭ. კავშ. სესხის მიცემის შესახებ. გაზეთის სიტყვით მრეწველები საერთოდ ფიქრობენ, რომ ბანკები სწორად მოიქცენ, რადგან რუსეთის ნდობის საკითხი მეტად საეჭვოა.

# წითელი არმიის მანევრები.

წითელი არმიის მომავალ მანევრების შესახებ საბჭ. კავშ. ტელეგრ. სააგენტოს კორესპონდენტს სარწმუნო წყაროებიდან შეატყობინეს შემდეგი:

„ძირითადი განსხვავება მომავალ მანევრებისა გასული წლის მანევრებთან შედარებით მდგომარეობს მასში, რომ ამ მანევრებმა ოპერატიულ-სამოსწავლო მიზნებთან ერთად უნდა დაისახონ მიზნად აგრეთვე წითელი არმიის საბრძოლო უნარიანობის ყოველმხრივი გამორკვევის ამოცანა. მომავალ მანევრებში ნაწილობრივ მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ტერიტორიალური ნაწილები. ეს იქნება ახალი და მეტად მნიშვნელოვანი შემოწმება წითელი არმიის ორგანიზაციული წყობისა, ტერიტორიალურ ნაწილების შემჭიდროებისა და საბრძოლო უნარიანობის გამორკვევისა.

მომავალ მანევრების დროს გამოირკვევა თუ რამდენად მომზადებულია წითელ არმიელთა შემადგენლობა, რომელმაც თითქმის უკვე დაასრულა წითელ არმიაში მიღებული სწავლების და აღზრდის პროგრამა. მანევრებზე შემოწმებული იქნება ცოდნა და საერთო მომზადება წითელ არმიელებისა, რომელიც მათ აქვთ მიღებული ნორმალურ, გეგმიან სწავლების დროს.

მომავალ მანევრებში დასახულია მიზნად დამყარებულ იქნას ურთიერთ მოქმედება საბრძოლო პოლიტიკურ შემადგენლობის შორის ყველა მის ძირითად ერთეულებში. საფუძველი ამ ურთიერთ მოქმედებისა იქნება შეერთებული მუშაობა მეთაურებისა და პოლიტიკურ შემადგენლობისა ტაქტიკური და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში.

სწორი და წარმატებითი ჩატარება მანევრების მოითხოვს მოსახლეობის დახმარებას. ამიტომ წითელი არმიის პოლიტიკურ და მეთაურთა შემადგენლობის ამოცანას შეადგენს აგრეთვე მოსახლეობისთვის მანევრების მნიშვნელობის გაცნობა. გზადაგზა უნდა შეეხონ აგრეთვე სამხედრო პროპაგანდის და ნივთიერ დაზარალების ანაზღაურების საკითხებს, რომელიც მოუვა მოსახლეობას მანევრების გამო. ძირითადი ამოცანა მოსახლეობასთან ურთიერთობისათვის—ესაა რაც შეიძლება ნაკლები ზარალის მიყენება მისთვის მანევრების დროს.

# საბჭოთა კავშირში

## მაქსიმ გორკის წერილი.

აკადემიკ ოლდენბურგმა მიიღო იტალიიდან გორკის წერილი, რომელიც სწერს, რომ მეტად აღტაცებულია სამეცნიერო აკადემიის მიპატიჟებით, მაგრამ სამწუხაროდ არ შეუძლია ლენინგრადში ჩასვლა, რადგან გატაცებულად მუშაობს დიდ ნაწარმოებზე და მისი შეწყვეტა რამოდენიმე დღითაც არ შეუძლია.

## სამოქალაქო სასწავლებლების გასამხედროება.

განათლების კომისარიატმა სამხედრო სკოლების სამმართველოსთან ერთად შეიმუშავა გეგმა სამოქალაქო სკოლების გასამხედროების შესახებ. სკოლებში განზრახულია სწავლების შემოღება სამხედრო საგნებში არა უმეტეს ორი საათისა კვირაში და აგრეთვე საზაფხულო პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება. გეგმა წარედგინა განსახილველად სახკომსაბჭოს.

# შვებულო, ემზადე სოფლად მუშაობისათვის.

**სამხედრო საქმე სოფლად არ დაივიწყო.**

საბჭოთა მესამე ყრილობამ საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქისათვის სამხედრო საქმის შესწავლის აუცილებლობაზე, რადგან მომავალ ომები იქნებიან მთელ ქვეყნების ერთი მეორესთან ომებად, და არმიები კი შესდგებიან ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეებისაგან, რომლებსაც შეეძლებათ იარაღის ტარებისა და სამხედრო ცხოვრების ჭირ-ვარამის გადატანა.

ადგილებზე, სოფლად და დაბებში ეს მითითება საბჭოთა მესამე ყრილობისა ეხლა ტარდება ცხოვრებაში, რადგან ეს საქმე ახალია და მომუშავეები (სამხედრო) ცოტანი არიან ადგილებზე, ამიტომ მისი გატარების საქმეც ნელა მიდის.

1902 წლის დაბადებულ მეომრებმა, რომლებიც შვებულებაში მიდიან, უნდა გაამაგრონ ის მიღწევები, რაც არის უკვე სოფლად და ხელი უნდა მოკიდონ მოსახლეობის გასამხედროების წინ წაწევის საქმეს.

ეს დიდი საქმე არმიიდან სოფლად მიმავალი მეომრები ვალდებულნი არიან გააკეთონ და ამას ისინი კიდევაც, რაც ექვს გარეშეა გააკეთებენ.

მათი მუშაობის ნაყოფიერების თავდებია ის მომზადება, რომელიც მათ მიუღიათ (სამხედრო და პოლიტიკური) და რაც მათ სურთ გამოიყენონ მთელი შესაძლებლობით სამშობლოში დაბრუნებისას.

სოფლად რომ არ დაიბნეს და არ ჩამორჩეს კავშირის მოსახლეობის გასამხედროების მუშაობაში, ყველა მებრძოლი ვალდებულია წინასწარ მოიფიქროს მასზე და გადაამუშაოს ის კითხვები, რომლის გადაწყვეტა მას მოუწევს სოფლად. ასეთი კითხვები კი ბლომად მოიპოვება. მაგალითად, ეხლა რომ მისცე კითხვა სოფლად მიმავალ წითელ არმიელს „როგორ დაიწყებ შენ და გაატარებ სამხედრო მეცადინეობას სოფლად".

როგორ პასუხს მივიღებდით ჩვენ ასეთ კითხვაზე? უთუოთ მეომართა უმეტესობა გვიპასუხებდა, რომ მოსახლეობის გასამხედროების საქმე უნდა დავიწყოთ ასე: თემის ან რაიონულ საბჭოში უნდა მივიდეთ პირველად და გამოვარკვიოთ თუ რა მუშაობა სწარმოებს ამ მხრივ, რა არის გაკეთებული და რა უნდა გაკეთდეს, როგორ ეპყრობა მოსახლეობა ამ მუშაობას (აქვს სურვილი თუ არა) თუ არა, უნდა გამოვარკვიოთ, რატომაა ეს ასე, ხომ არ არის აქ ცუდი მიდგომა გლეხისადმი სამხედრო საქმის შესწავლის ხელმძღვანელებისაგან. შემდე უნდა გამოვარკვიოთ: რა ორგანიზაციები აწარმოებენ ამ საქმეს, ვისი საშუალებით ტარდება ეს მუშაობა (ქოხ-სამკითხველოს, სკოლის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციის საშუალებით) ამ კითხვების გამორკვევის შემდეგ, ყოველი მხედარი სოფლად მისული, უნდა დაიწყოს თავის მუშაობა იქიდან და იმ წესით, რომ თავი მოუყაროს და დააინტერესოს თავის სოფლის მოქალაქენი განმარტებით თუ რა მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობისათვის სამხედრო საქმის შესწავლას.

აქ დიდი მნიშვნელობა ექნება იმ განმარტებას, თუ როგორი იქნება მომავალი ომები; მითითება ტეხნიკის ზრდაზე (ავიაცია, ქიმია, შორსმსროლელი ზარბაზნები, სხვა და სხვა სახის ჯავშნოსნები, რადიო და სხვა). და როდესაც არმიიდან დაბრუნებული წითელი არმიელი პირისპირ შეხვდება გლეხს და ეს უკანასკნელი, მას მისცემს, ვსთქვათ, ამ ხასიათის კითხვებს; „გეთაყვა, ერთი მითხარი თუ რა ისწავლე ჯარში ამ ორი წლის განმავლობაში. შენ მოგვიყევი, ჩვენ კი გისმენთ". და სწორედ აქ იწყება მისი გამოცდა.

მან ნათლად და გარკვევით უნდა გადასცეს ყველაფერი ის რაც კი უნახავს არმიაში, რაც მას კარგად შეუთვისებია და შეუძლია გადასცეს სხვას. აქვე მას უნდა ურჩიოთ, რომ გლეხი არასოდეს არ მოატყუილოს თორემ მას შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ დაუჯერებენ. მან უნდა გადასცეს, მხოლოდ ის, რომლის ცოდნაში მას ეჭვი არ ეპარება და მისი თვალით უნახავს არმიაში.

ი. ბარ.

# წ.-არმიელთა ურთიერთ გაცნობის შესახებ.

დაახლოებით ორი წლის წინათ ეს კითხვა იქნა გაშუქებული ჩვენს გაზეთში და ნაწილობრივ ამ მუშაობას პოლიტ-მომუშავეები ატარებდენ „თავიანთ" ასეულებში პროგრამის გარეშე. ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ამ ურთიერთ გაცნობას წ.-არმიელები სიხალისით ეკიდებიან და სათანადო ნაყოფიც მოაქვსო.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს ურთიერთ გაცნობის საკითხი უკვე მოგვარებული იყო, მაგრამ საუბედუროთ მხოლოდ იმ ცხელ გულზედ მოეკიდათ ხელი მის გატარების საქმისათვის და შემდეგ კი უკვე დაუნებებიათ თავი. ეს ამ ბოლო დროს გამოირკვა საარტილერიო ლეგიონის კრებაზე, სადაც წ.-მოლაშქრეს (სიღნაღის მაზრის იყო) შეეკითხე: რაჭის გლეხობა რა სახის მეურნეობას ეწევა მეთქი. მან ამ კითხვაზედ დაბნეულად მიპასუხა. მის პასუხიდან გამოდიოდა მხოლოდ ის, რომ რაჭის გლეხობა ეწევა სიმინდის მოყვანას და მეტს არაფერს. ასეთი პასუხი „ზერელეა" რადგან კახელმა გლეხმა „მხოლოთ ზერელედ იცის, რომ დასავლეთ საქართველოში მხოლოთ სიმინდის მოყვანის მეტი არაფერი იციან.

ასევე ითქმის დასავლეთში მცხოვრებ გლეხებზედ, იმერელ გლეხებს რომ კითხო კახეთში რა მოდისო, კახეთში კარგი ღვინო მოდისო, გიპასუხებთ. აი საერთო შეხედულება ჩვენი ქართველი გლეხობის ურთიერთ გაცნობის შესახებ.

ამ წერილით მე მინდა ამხანაგების ყურადღება მივაქციო ამ კითხვის სათანადო გაშუქების საჭიროებაზე. პირველ ყოვლისა „წ.-არმიელების ურთიერთ გაცნობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, იმიტომ რომ ურთიერთ გაცნობა ერთი რომ სულიერად დაახლოვებს წ.-არმიელის „შემადგენლობას ერთმანეთთან, გაეცნობა სხვა მაზრის გეოგრაფიულ და კულტურულ მხარეებს და მასთან ერთად გაიგებს თუ რა მუშაობას ეწევა საბჭოთა ხელისუფლება ამა თუ იმ მაზრაში ანუ თემში. აღნიშნული კითხვის გარჩევას შეუძლია დიდი მასალები მოგვცეს.

შეიძლება ზოგიერთ პოლიტ-მომუშავემ ეჭვი შეიტანოს თითქოს ძალიან ძნელი იყოს ამ კითხვის გაშუქება. წინააღმდეგ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს კითხვა ისე მარტივათ შეიძლება დაისვას და გადაიჭრას, რომ დიდი შრომა მასზედ არ დაიხარჯება. და აი რატომ: აქ მარტო ერთი მომხსენებელი როდი ღებულობს თავის თავზედ ყველა მაზრების და თემების მდგომარეობის გაშუქებას, არამედ წ.-არმიელების მთელი შემადგენლობა. საშუალებიეროთ ჩვენს ნაწილებში და ასეულების ფარგლებში თუ მეტი არა ათი და მეტი მაზრის შემადგენლობა იყრის თავს. აი სწორეთ სხვა და სხვა მაზრების და თემების მცხოვრები იქნებიან მომხსენებლები თავიანთი თემის ან სოფლის მდგომარეობის შესახებ, მხოლოდ აქ საჭიროა ხელმძღვანელობის გაწევა პოლიტ-შემადგენლობის მხრივ, რომლებიც წინასწარ შეადგენენ მოხსენების გეგმას. შეიძლება აქაც შემეკითხონ, რომ ყველა წ.-არმიელები ვერ გააკეთებენ მოხსენებასო. მართალია ყველა ვერ გააკეთებს მოხსენებას მისთვის უცხო თემაზედ, მაგრამ რაც თავის თვალით უნახავს და რაზედაც უმუშავებია მასზე ყველას შეუძლია ლაპარაკი. მაგალითისათვის დავასახელოთ რამოდენიმე კითხვა. ნუ თუ წ.-არმიელი ვერ გვეტყვის მისი სოფლის ან თემის გლეხობა თუ რა მეურნეობას ეწევა, პური მოყავს თუ სიმინდი, ღვინო მოდის, ეწევიან მებამბეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, მეთუთუნეობას, ტყის დამუშავებას, მეხილეობას და ათასი სხვა. შემდეგ სწავლა-განათლების საქმე როგორაა დაყენებული, ექიმი ყავთ თუ არა, ფოსტა-ტელეგრაფი არის თუ არა, გზები და ხიდეები როგორ მდგომარეობაში არიან, კოოპერატივები არის თუ არა, გლეხკომები და სხვა ორგანიზაციები არის და თუ არის როგორ მუშაობენ, როგორი ჰავაა და სხვა. ერთი სიტყვით სოფლის მდგომარეობის აღწერაში რამოდენიმე ათეული საინტერესო საკითხი შეიძლება აღინიშნოს, რითაც შეიძლება ნათელი წარმოდგენა იქონიოს კაცმა აღნიშნულ სოფელზედ ამ მაზრაზედ.

ამ კითხვის დადებითი მხარეებზედ ძალიან ბევრი შეიძლება დასწეროს კაცმა, მაგრამ ამას ცხოვრებაში გატარების დროს თვით ნაწილის სამხკორები აღნიშნავენ. მხოლოდ საჭიროა მიაქციონ ამ კითხვას ყურადღება და დროულათ შეუდგენ მის განხორციელებას. ამისთვის დრო ყოველთვის იქნება თუ კი ნაწილის ხელმძღვანელები ენერგიას არ დაიშურავენ.

ს. ლომიძე.

# ᲣᲕᲐᲓᲝ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ



მე-2 არტლეგ. შვებული წითელ არმიელები ღებულობენ ლიტერატურას.

## ᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ.

მე-2 არტ-ლეგიონი.

31 აგვისტოს, სადილის შემდეგ, მე-2 არტ-ლეგიონის შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელები ესტუმრენ შეერთებულ ბატარეას. ბატარეის წითელ-არმიელები აქ მათ დიდის ზეიმით მიეგება. შვებული წითელ-არმიელები ბატარეაში დასაჩუქრებულნი იქნენ წიგნებით. შემდეგ გაიმართა მიტინგი. მიტინგზე წარმოსთქვეს სიტყვები: ამხ. ამხ. იაშვილმა, კვანტრიშვილმა, სტურუამ და ბარაბიძემ. ყველა ორატორები აღნიშნავდენ ტერ-სისტემის მნიშვნელობას და შვებულ წითელ-არმიელების მოვალეობას სოფლად. ამის შემდეგ გაანთავისუფლეს თბილისელები. ისინი მუსიკით და „ვაშას" ძახილით გავაცილეთ. დანარჩენი ამხანაგები მივაცილეთ სადგურამდე და გავამგზავრეთ, ნაწილი კი დღეს თუ ხვალ გაემგზავრებიან თავიანთ სოფლებში.

უსურვებთ გამარჯვებას შვებულებაში მიმავალ ამხანაგებს!

ვ. ნავრუზაშვილი

## ᲩᲕᲔᲜᲪ ᲒᲕᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲐᲗ.

2-ე არტ-ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის არმიელებსაც ამზადებენ გასაშვებათ. ამას წინად კლუბის გამგემ ჩაატარა საუბარი, სადაც დაწვრილებით იქნა აღნიშნული თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სოფლად წითელ ყაზარმაში მიღებული ცოდნა. ამხანაგმა მოგვიწოდა მთელი ჩვენი ყურადღება მივაქციოთ სოფლად წამოჭრილ ყველა საჭირბოროტო საკითხებს და ისე მიუდგეთ მათ გადაჭრას, როგორც გვიხსნიდენ ყაზარმაში. აქვე იქნა აღნიშნული თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ სამხედრო ნაწილებსა, ქალაქის მუშებსა, გლეხებსა და ერთმანეთ შორის.

ერთი საუკეთესო საშვალება ასეთი დამოკიდებულების დამყარებისათვის, სოფლად გამოცემული კედლის გაზეთების და ადგილობრივი ცხოვრებიდან წერილების მიწოდება არისო სთქვა ამხანაგმა და აქეთკენ მოგვიწოდა.

საუბარმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე და იქვე განაცხადეს, რომ ყოველგვარ ზომებს მიიღებენ ამ მხრივ.

სამხკორი ბ. კვაჭაძე.

## ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ.

(პირველ ლეგ. უნცრ. მეთა-ურთა სკოლა).

ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის კურსანტთა გამოშვება ამ ახლო მომავალში მოხდება. კურსანტები მთელი თავისი ენერგით მეცადინეობენ. ყველას უნდა თავი ისახელოს გამოცდების დროს.

განსაკუთრებით კარგი სანახავია სკოლა ამ უკანასკნელად. ვერ ნახავთ ერთ კურსანტს, რომელსაც ხელში არ ეჭიროს რვეული ან წიგნაკი და თავისთვის, თავ ჩაქინდრული არ მეცადინეობდეს.

მასწავლებლები თავიდანვე დიდი ყურადღებით გვექცეოდენ და დიდი ენერგია დახარჯეს კურსანტებთან მუშაობით.

მომავალი გამოშვება ერთხელ კიდევ შეავსებს ჩვენს ლეგიონს ახალგაზრდა და ენერგიით აღსავსე უნცროს მეთაურებით, ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებს ჩვენს კურსანტთა შორის წარმოებული მუშაობა.

გაუმარჯოს მომავალ ჩვენს მეთაურებს და მათ მომავალ საქმიანობას ლეგიონში.

წ. არმ. თ. სიკინჭილაშვილი.

## ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

25 აგვისტოს მეხუთე ლეგიონში გვესტუმრენ პიონერები ჩვენი წითელი ყაზარმების დათვალიერების მიზნით. მათ შეხვდა ბიბ-გამგე ამხანაგი დევაძე, რომელმაც დაატარა ყველა ასეულის ყაზარმები. დაათვალიერებია ლენინის კუთხეები, რომ ლიც ძალიან მოეწონათ. ნახეს აგრეთვე ჩვენი ახალი კლუბი და სხვა. ამხანაგი დევაძე მათ უხსნიდა წითელ არმიელთა ყოფა ცხოვრებას და სხვა.

პიონერებს ძლიერ მოეწონათ ჩვენი წითელი ყაზარმები და მათი მოწყობილობა და კმაყოფილი წავიდნენ ჩვენგან.

სამხკორი ოგანოვი.

## ᲢᲔᲠ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲐ.

6-სე ტერლეგიონი..

ჩვენი ლეგიონიდან პირველად იქნა გაშვებული უვადო შვებულებაში ტერ-არმიელები. ლეგიონის მესვეურებმა სისწორით აუღეს ალღო და პირველ რიგში ისეთები იქნენ გაშვებული, რომლების წასვლა უფრო აუცილებლად იყო საჭირო.

ორი თვის განმავლობაში ამხანაგებმა სავსებით მოასწრეს ყველა საჭირო ცოდნის შეთვისება.

პოლიტიკურად საკმაოდ გაწვრთნილი ამხანაგები, თავის წვლილს შეიტანებენ იმ მუშაობაში, რომელიც სწარმოებს ამ ჟამად სოფლად. ამაზე მხედრული სიტყვა დასდვეს ნაწილში ამ ამხანაგებმა.

ამხანაგების გაშვების წინა დღით მოწვეული იქნა საერთო კრება, რომელზედაც დაწვრილებით განემარტათ ამხანაგებს შვებულებაში მიმავალთა ამოცანები.

საპასუხო სიტყვაში ტერ-არმიელმა ყველა მიმავალთა სახელით ფიცი დასდო, რომ წითელ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას სავსებით გადასცემენ გლეხებს და შეეცდებიან აამაღლონ წითელი ლაშქარის ავტორიტეტი სოფლის მცხოვრებლებში.

მეორე მხრივ არმიელებმა აღვუთქვეს სოფლის ყოფა ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ ცნობების მოწოდება და ნაწილთან მუდმივი კავშირი.

იმედი გვაქვს ამხანაგები მტკიცედ შეასრულებენ თავის სიტყვას.

გაუმარჯოს მათ საქმიანობას ჩვენი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

სამხკორი № 9.

## ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ.

მეორე საარტ. ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონზე ბევრი რამ იწერება, მაგრამ სამწუხაროთ ყველა ნაკლულევანებებს არ ექცევათ სათანადო ყურადღება. შენიშვნების უმეტესი ნაწილი უყურადღებოთ რჩება ნაწილში.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს უფროსი ამხანაგებიდან ამ გარემოებას.

სურამულასპირელი.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

მეორე მესანგრეთა ასეული.

მიუხედავად იმისა რომ ჩვენი ცალკე მესანგრე ასეულის წ. არმიელები მეტად დატვირთული არიან მეცადინეობით, როგორც საინჟინერო ნაწილი, ჩვენ მაინც შევსძელით სოფლად მუშაობის წარმოება. გაუხსენით ჩვენს საშეფო სოფელს ლენინის კუთხე, გამოუწერეთ გაზეთები, უგზავნით საერთო კამპანიების ჩატარებისათვის მომხსენებლებს.

ა. წ. აგვისტოს საშეფო სოფელში გაემგზავრა ნაწილის სახელით ამხ. რ. ხუციშვილი რომელმაც გააკეთა მოხსენება ტერ-სისტემის მნიშვნელობაზე და 1901 წელში დაბადებულ ცვალებადელების გამოწვევის შესახებ.

30 აგვისტოს მე-2 მესანგრე ასეულის დრამ-წრის მიერ იქნა გამართული თავის საშეფო სოფელში დიდი საღამო-წარმოდგენა.

დღის 2 საათზე გაემგზავრა ნაწილიდან დრამატიული წრის დასი და მასთან რამოდენიმე აქტიური ამხანაგები. მათ თან ახლდათ დაფი ზურნა, სიმებიანი ორკესტრი და სხვა გასართობები საღამოს მოსაწყობად.

შევიდნენ თუ არა სოფელში მთელი მცხოვრებლები მხიარულად შეეგებენ ჩვენს ამხანაგებს. შეუდგენ სცენის მოწყობას და საღამოზე მთელი სოფელი შეიკრიბა აღნიშნულ ადგილზე.

გაიმართა ცეკვა-თამაში, ჭიდაობა და სხვა. მიუხედავად უამინდობისა (ავდარს აპირებდა) ხალხი მაინც მრავალი დაესწრო.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ სცენაზე გამოდიან ჩვენი ამხანაგები და კითხულობენ სხვა და სხვა სცენებს და რევოლიუციონურ ლექსებს.

სოფლის მცხოვრებლები კმაყოფილნი დარჩენ და გვთხოვეს ხშირად მივსულიყავით მათთან რაც სიამოვნებით აღუთქვით.

ფრანგი.

# ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ.

ცხენოსანი ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში არიან ზოგიერთი არმიელები, რომლებიც სრულებით ვერ ესწრებიან პოლიტ-საათებს და სხვა საგანმანათლებლო ხასიათის საუბრებს.

მაგალითისათვის მომყავს სამზარეულოში მოსამსახურე ამხანაგები. მათთვის არ არსებობს პოლიტსაათები და სხვა. ვინ იცის, თუ ასე გაგრძელდა მათი მდგომარეობა, წერა-კითხვის უცოდინარები დაუბრუნდენ თავიანთ სოფლებს.

საჭიროა ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები ყურადღებას მიაქცევდენ ამ მოვლენას და ამ ამხანაგებსაც მისცემდენ საშვალებას რაიმე შეისწავლონ წითელი ჯარის რიგებში.

სამხკორი ჩახაია.

## ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ.

პირველი ლეგ. სამნეო ბუნდი.

ბუნდში ხშირად აქვს ადგილი უწესრიგობას, რაც დაუშვებელია დისციპლინის თვალსაზრისით. მაგალითად ამოკითხვის დროს წყობილებაში ხშირად შეხვდებით უქამრო, უქუდო არმიელებს. ხშირად ზოგიერთი ამხანაგები წყობილებაშიც კი შეექცევიან პურს, ეწევიან თამბაქოს და მრავალი სხვა.

საჭიროა ასეულის თავმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და გამოასწოროს ეს ამხანაგები.

სამნეო ასეული იქნება თუ სხვა სულ ე თია, ამოკითხვას თავისი წესი აქვს და არსად არ უნდა ირღვეოდეს ის.

სამხკორი ხათაბალა.

## ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ.

შორაპნის მაზრის სოფელ ტაბაკინზე აღებული აქვს შეფობა 2-რე ათასეულს, რომელიც ყოველგვარ დახმარებას გვიწევს სოფლელებს რითაც კი შეუძლია.

29 აგვისტოს ათასეულმა ერთხელ კიდევ მოგვინახულა. ნაწილს თან ახლდა დრამატიული დასი, რომელმაც ადგილობრივად გამართა ფრიად შინაარსიანი საღამო. წარმოდგენის დაწყებამდე, ნაწილის წარმომადგენელმა ვრცელი მოხსენება გააკეთა ტერ-სისტემის მნიშვნელობის შესახებ.

კრება, რომელსაც აუარება გლეხები და გლეხის ქალები დაესწრო, აღფრთოვანებით შეეგება მომხსენებელს და გამოიტანეს სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ გაიმართა წარმოდგენა და ცეკვა-თამაში.

სოფ. ტაბაკინის მთელი გლეხობა ურღმეს მადლობას უცხადებს ხსენებულ ათასეულს სოფლისადმი ყურადღების მიქცევისათვის, რომელიც გამოიხატება გაზეთების მოწოდებით და სოფელში სხვა განათლების შემოტანაში.

ნაწილმა ასეთი მოქმედებით ერთხელ კიდევ შეაყვარა ხალხს წითელი ჯარი და მისი აღმზრდელები.

სოფლკორი სერგო წულაია.

## 88 ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲡ.

6 სე ლეგ. 3-მე ათასეული.

აღნიშნულ ათასეულის შემადგენლობიდან თითქმის 50 პროც. ითვლებოდა წერა-კითხვის უცოდინარები.

არმიელების მოსვლისთანავე მთავარი ყურადღება მიექცა ამ გარემოებას და შეუდექით წერა-კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციოთ დაკვრითი წესით მუშაობას. ოცი ივნისიდან ნაწილში ხუთ ჯგუფად დაიწყო მეცადინეობა. ამ ხნიდან ოცდაექვს აგვისტომდე მიზანს მივაღწიეთ. გამოცდებმა, რომელიც ჩატარებული იქნა ამ უკანასკნელ ხანებში სავსებით გაამართლა იმედები.

29 ტერ-არმიელმა წარჩინებულად ჩააბარეს გამოცდები, 52-მა საშუალოდ და 6 კი შედარებით უფრო სუსტად.

უფრო სუსტ ჯგუფებთან ამ ჟამად კიდევ იწარმოებს მეცადინეობა, რომელიც დამთავრდება ახლო მომავალში.

დ. ჭანკვეტაძე.

# საწრეო მუშაობა ჩვენთან.

**მეექვსე ლეგიონი.**

ლეგიონის კლუბის გამგეობამ თავიდანვე აიღო მტკიცე ხაზი სკოლის გარეშე მუშაობის გაჯანსაღებისათვის. უპირველეს ყოვლისა ტერ არმიელები მოსვლისთანავე შეუდგნენ პირველდაწყებით მუშაობის წარმოებას. ისინი იქნენ ჩათრეულნი სხვა და სხვა ბირთვებში, რომელიც დაარსებული იყო თითეულ ლენკუთხესთან. ლენკუთხეების ბირთვებში აქტიურ მონაწილეობის შემდეგ ისინი მოითხოვდნენ სხვა და სხვა წრეებში მონაწილეობის მიღებას.

ლეგიონის ფარგლებში ჩამოყალიბდა სხვა და სხვა წრეები, სადაც ჩაბმულ იქნენ ტერ-არმიელები სურვილისამებრ.

წრეებს ხელმძღვანელობენ, როგორც წითელ არმიელები ისე უფროსი შემადგენლობა. წრეების ხელმძღვანელები თვიურ პროგრამებს იმუშავებენ თავიანთ სხდომებზე კლუბის გამგეობის თვიურ გეგმის მიხედვით, რის შემდეგ წრის ხელმძღვანელის მეთაურობით თითეული წრის წევრი ამუშავებს თემას. წრეები იმუშავებენ ლოზუნგებს და პლაკატების გეგმებს. ადგენენ აგრეთვე გასამართლებების და ინსცენიროვკის ტექსტებს. წრეები ჩამოყალიბებულია ნაც. უმცირესობის შორისაც. ნაც. უმცირესობიდან გამოყოფილნი არიან შესაფერისათ მომზადებული ამხანაგები, რომლებიც აწარმოებენ მათთან სისტემატიურ მუშაობას.

წრეები მეცადინეობენ კვირაში ერთხელ, ზოგიერთები კი ორჯერ. საერთოთ წრეთა მუშაობას სისტემატიური ხასიათი აქვს, რაც გვაძლევს სათანადო შედეგებს.

ყოველივე ეს აიხსნება წრეების ხელმძღვანელთა მომზადებული კადრის გამოძებნით.

იმედია ყველა წრეები, როგორც დღემდე, ისე შემდეგშიც გააგრძნობენ თავიანთ საქმიანობას.

მ. ვ.

# სამხედრო ტრიბუნალი.

1-ლ სექტემბერს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა სამი საქმე.

მე-4-ე ქართულ ლეგიონის წ.-მ. გვაგვალია ნესტორ დავითის-ძის, ცხენოსან ლეგიონის წ.-მ. ხარიტონ გიგოს-ძე ლომანძიასი და ქართულ ცხენოსან ლეგიონის სამნეო გუნდის წ.-მ. ვასილი პეტრეს ძე პოლიაევის.

ბრალი ედებათ: პირველს 9 თვის დეზერტირობაში და სახაზინო ნივთების გაფლანგვაში. მეორეს 4 თვე და 22 დღით დეზერტირობაში. მესამეს 26 დღის დეზერტირობა და სახაზინო ნივთების გაფლანგვაში.

სამნივე ბრალდებულნი დეზერტირობის მიზეზს ხსნიდენ ოჯახური მდგომარეობით, მხოლოდ სახაზინო ნივთების გაფლანგვის შესახებ ბრალდებულნი განმარტავდენ, რომ ნაწილი ნივთებისა დასტოვეს უყურადღებოდ ნაწილიდან გაქცევის დროს. დანარჩენი წაღებული ნივთებიდან ზოგი მათ შორის მოჰპარეს გამასწორებელ სახლში ყოფნის დროს. სამნივე ბრალდებულებმა: გვაგვალიამ, ლომანძიამ, და პოლიაევმა იცნეს თავი დამნაშავეთ წაყენებულ ბრალდებები. ტრიბუნალმა მიუსაჯა მათ: პირველს გვაგვალიას თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით ერთი წლის ვადით და ქონების ნაწილის კონფისკაცია. მეორეს—ლომნაძიას — თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით ექვსი თვის ვადით და ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია. მესამეს პოლიაევს —თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით ორი თვის ვადით. მხოლოდ პირველი ორს გვაგვალიას და ლომნაძიას თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის ა./წ. 16 მარტიდან № 13 ამნისტიის ძალით სასჯელი თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა ნახევრად.

გნია.

# განათლების ფრონტზე.

**საზღვაო სკოლა.**

განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა პროფ. განათლების მთავარ მმართველობას დაამუშაოს საკითხი ბათომში საზღვაო სკოლის გახსნის შესახებ.

**უმაღლეს სასწავლებლებში.**

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სომხეთს დაეთმო 10 ადგილი.

**სამხედრო ხელოვნება სკოლებში.**

განათლების კომისარიატმა გამოყო ცალკე კომისია სკოლებში სამხედრო ხელოვნების სწავლების შემოღების საკითხის დასამუშავებლათ.

# ამბები სოფლებიდან.

**დახმარება დაზარალებულ გლეხებს.**

აჭარის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასცა ორთაბათომის სტიქიურათ დაზარალებულ გლეხებს 4 ათასი მანეთი.

**სკოლა დამთავრებულნი.**

ქუთაისის მაზრაში წელს შრომის სკოლები დაუმთავრებიათ 2.300 კაცს.

**გადამზადებული მასწავლებლები.**

თელავის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები დაამთავრა 140 მასწავლებელმა.

**დოღი ახალციხეში.**

მიწათ-მოქმედების კომისარიატი შემოდგომაზე ახალციხეში აწყობს გლეხების მუშა-ცხენების დოღს.

# ახალი ამბები.

— ველოსიპედები მილიციისათვის. ტფილისის მილიციის სამმართველომ შეიძინა მილიციის საჭიროებისათვის 20 ცალი ახალი ველოსიპედი.

— კურორტებზე გაგზავნა. გუშინ ტფ. დამზღვევმა სალარომ დაასრულა დაზღვეულთა უკანასკნელი ჯგუფის გაგზავნა სანატორიუმ არაზინდოზე.

— სახლის შეძენა. ტფ. დამზღვევმა სალარომ გადაწყვიტა შეიძინოს სახლი დაზღვეულთათვის რენტგენის კაბინეთის მოსაწყობათ.

— ბამბის საწმენდი ქარხნები. საქ. საბამბო კომიტეტი 15 სექტემბრისათვის დაამთავრებს 3 ბამბის საწმენდი ქარხნის აგებას.

— ასოთ ჩამომსხმელი მანქანები. ამ დღეებში ტფილისში მიიღებენ სამ ასოთ ჩამომსხმელ მანქანას, რომელიც შეიძინა პოლიგრაფტრესტმა ამ კ. საგ. ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით გერმანიაში.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ვმსახურებ ტერსამართველოში. მივლინებული ვარ ქალაქის საინჟენერო დისტანციაში შიკრიკად. ვარიგებ წერილებს ქალაქის მაშტაბით. გთხოვთ მიპასუხოდ მეკუთვნის თუ არა ცხენი წერილების დასარიგებლად?

წითელ-არმიელი **მუხლელი.**

**პასუხი.** ცხენი არ გეკუთვნით. სასწრაფო შემთხვევაში დაწესებულებას შეუძლია მოგცეს გადასაზიდი საშვალება.

**კითხვა.** მე გამიწვიეს სამხედრო სამსახურში ქალ. თელავიდან. თელავში არავინ მყავს და არც მამული მაქვს. მყავს ერთი ძმა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს. შვებულების შემდეგ მომეცემა თუ არა ლიტერი მოსკოვში წასასვლელად?

წ. არმიელი **პ. ოსიპოვი.**

**პასუხი.** მოსკოვში წასასვლელად არ მოგეცემათ ლიტერი.

**კითხვა.** საავადმყოფოში გაგზავნის გამო არ მიმიღია ჩექმები. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ჩექმებს არ მაძლევენ. გთხოვთ მიპასუხოთ მეკუთვნის თუ არა ჩექმები?

ცხ. ლეგიონის წ. არმიელი **სურილისპირელი.**

**პასუხი.** თუ თქვენი ფეხსაცმელი უვარგისობაშია მოსული, იმ შემთხვევაში გეკუთვნით.

**კითხვა.** კავკასიის ცალკე საავიაციო რაზმში ვმსახურებთ წითელ-არმიელები, რომელთაც საშვალო ცოდნა გვაქვს მიღებული. გთხოვთ მიპასუხოდ მოგვეცემა თუ არა საშუალება ჩვენ თვითონ მოვემზადოთ და ჩავაბაროთ გამოცდები საშაულო მეთაურთა შემადგენლობისათვის და თუ კი ვის უნდა მივმართოდ ამისთვის?

წ. არმ. **პატარიძე.**

**პასუხი.** თანახმად ბრძანებისა №1274 შტაბი მოვალეა ხელი შეგიწყოს მომზადებაში და დაგიშვან გამოცდებზე.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**როგორ გავახანგრძლივოთ ადამიანის სიცოცხლე.**

(გაგრძელება)

ამერიკელ მეცნიერ მაიომ შემოიარა მთელი ევროპა და ამერიკა და შეაგროვა აუარება სტატისტიკური ცნობები, რომ გამოეანგარიშებია ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და შეედარებია ის საშუალო საუკუნოების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან. აღმოჩნდა, რომ ამ ჟამად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უდრის 58 წელს, 1850 წლებში კი უდრიდა 40 წელს. აქედან ცხადია, რომ ადამიანის სიცოცხლე გახანგრძლივდა 18 წლით. რას უნდა მივაწეროთ ეს?

რადგანაც ადამიანი კვდება სხვა და სხვა ავადმყოფობიდან უნდა გამოირკვეს, რომელი ავადმყოფობის გამო შემცირდა მომაკვდავთა რიცხვი 1850 წ. შედარებით, რომელი ავადმყოფობიდან კვდება საერთოდ უფრო მეტი და რომლებიდან უფრო ნაკლები. ამ საკითხზე მეტად ნაყოფიერად მუშაობენ მსხვილი დამზღვევი კამპანიები.

ერთი უმდიდრესი ამერიკის დამზღვევი საზოგადოებამ („მიტროპოლიტენ"), რომელსაც ყავს უზარმაზარი შტატი სასანიტარო სტატისტიკის მოხელეებისა, არ დაზოგა თავისი მასალები იმისთვის, რომ გამორკვეულიყო ზუსტობით, თუ რომელ ავადმყოფობიდან უფრო მეტი იხოცება და რომელიდან უფრო ნაკლები. მხედველობაში მიღებული იყო მხოლოდ 10 წ. მეტი ხნის პირები აღმოჩნდა, რომ პირველი ადგილი ხშირი სიკვდილის შემთხვევებით უკავია გულის ავადმყოფობას. მისგან ყველაზე უფრო მეტი კვდება, როგორც ქალი, ისე კაცი. მეორე ადგილი უკავიათ: ჰაჰების ქრონიკულ ანთებას მამაკაცებში, და ტვინში სისხლის ავარდნას—ქალებში. მესამე ადგილი უკავია ტვინში სისხლის ავარდნას მამაკაცებში და კიბოს—ქალებში. მეოთხე—კიბოს მამაკაცებში და ჰაჰების ქრონიკულ ანთებას—ქალებში. მეხუთე—ჭლექს ორივე სქესში. მეექვსე: ფილტვების აპკის ანთებას—ორივე სქესში და მეშვიდე—ფილტვების კატარული ანთებას—ორივე სქესში. მხოლოდ ამათ შემდეგ მიდის გადამდები ავადმყოფობანი, უბედური შემთხვევები, ბავშვთა სნეულებანი, საწარმოო და სხვა.

შვიდ ჩამოთვლილ ავადმყოფობათა შორის პირველი ოთხი (გულის, ჰაჰების, კიბოს და ტვინში სისხლის ავარდნა) წარმოადგენს ისეთ ავადმყოფობას, რომელთა მიმართ მედიცინა ისეთივე უძლურია ამ ჟამად, როგორც 1850 წ. (ბევრი მიღწევაა ამ ავადმყოფობათა გამორკვევაში, და მათი რაობის ახსნაში, მაგრამ მათგან განკურნვის საქმეს არ წაუწევია წინ). მაშასადამე, სიკვდილის შემცირება, რომელიც აღმოჩინა მაიომ უნდა მომხდარიყო სხვა ავადმყოფობათა ხარჯზე, როგორც ჭლექი, გადამდები სენი, ბავშვთა, სიფილისი და სხვა. და უბედურ შემთხვევების შემცირების გამო. და მართლადაც, ზემო ნათქვამს სავსებით ეთანხმება სიკვდილიანობის სტატისტიკა თითეულ ამ ჩამოთვლილ ავადმყოფობაზე. მაგ. ჭლექიდან მომაკვდავთა რიცხვი 1901 წ. 100 ათას კაცზე მოდიოდა 200 კაცი, 1922 წ. კი—92 კაცი. თითეულ წელიწადზე ნაკლები ხნის 1.000 ბავშვიდან 1901 წ. კვდებოდა 170, 2022 წელს კი—85.

„ნაუკა ტეხნიკა".

ექ. ზ. მერიმსკი.

(გაგრძელება იქნება)

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ მებრძოლს.** (5 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ბიძაშვილობას აქვს ადგილი" გადაეცა შტაბს ზომების მისაღებათ.

**ამხ. ჭალისპირელს** (5-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია გადაეცა შტაბს.

**ამხ. სო—ს** (მეთაურ. სამ. სკოლა) ლექსი „მხედრის ხმა" არ გამოდგა.

**ამხ. ცხვირაშვილს** (5-თე ლეგ.) თქვენი წერილი „გავსწიოთ სოფლად მუშაობა" არ გამოდგა.

**ამხ. ა. კ—ლის** (4 ხე ლეგ.) თქვენი წერილი „დამოუკიდებელი მეთაურები" გადაეცა პოლიტგანყოფილებას.

**ამხ. ნ. კოპალიანს** ლექსი „სამხედრო სკოლიდან" არ გამოდგა. სწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

**ამხ. მეკუჭნავეს** (1-ლი საარტლეგ.)—კორესპონდენცია „პასუხის გამცემი" არ გავა.

**ამხ. ნავრუზაშვილს**—კორესპონდენცია „საექიმო კომისია 2-რე არტლეგიონში" არ გავა.

**ამხ. ბალათურიას** (4-ხე ლეგ.) წერილი „ვემზადებით საერთო შეკრებისათვის" არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ფერელს** (4-ხე ლეგ.) თქვენი კორესპ. „ჩვენი მდგომარეობა" გამოდგება კედლის გაზეთისთვის.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ მსრ. ლეგ. მე-2 ასეულის კომუჯრედში აქვთ განცხადება შემოტანილი უპარტიო ათის თავებს ამხ. ისიდორე სოფრომაძეს და მიხეილ კვიკვიძეს კომ. პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში მე-2 ასეულის კომუჯრედში.

მე-2 ასეულის **კომუჯრედი.**

მე-2 დივ. პოლიტ-განყოფილების კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება ა. ლ. კ. კ. წევრებს პარტიაში კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ნადარეიშვილი გაბრიელ ა. ლ. კ. კ. წ. 1921 წ. და
2. შაქარაშვილი ლევან ა. ლ. კ. კ. წევრი 1921 წ.

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ ერთი კვირის განმავლობაში.

პოლიტ-განყ. კომ-უჯრედის ბიურო.

**დაკარგე** რაჭის მაზრის ხვანჭკარის თემიდან გაცემული სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი №3499 ალექსანდრე სოლომონის-ძე სირაძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** ტრანსპორტის კავშირიდან გაცემული წიგნაკი №3948 გიორგი ბერუჩაშვილის სახელზე და საბჭოთა მუშაკების კავშირიდან გაცემული წიგნაკი №1059 ალექსანდრე ბერუჩაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.